გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები (მაქსიმალური ქულა - 5)	
ქულა	მოტივაცია (მაქსიმალური ქულა - 3)
3	სტუდენტს სრულად აქვს გააზრებული გაცვლით პროგრამაში/საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მნიშვნელობა მისი პროფესიული, აკადემიური და პიროვნული განვითარების ჭრილში; საუბარი არგუმენტირებული და დამაჯერებელია;
2	სტუდენტს გაცნობიერებული აქვს გაცვლით პროგრამაში/საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მნიშვნელობა და შედეგები, აკადემიური/კარიერული განვითარებისათვის ზოგად ჭრილში, თუმცა ვერ აკონკრეტებს, რა გავლენას იქონიებს პირადად მასზე და მის პიროვნულ განვითარებაზე
1	სტუდენტს არ აქვს ნათლად გაცნობიერებული გაცვლით პროგრამაში/საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მნიშვნელობა აკადემიური/კარიერული განვითარებისთვის, მიაჩნია, რომ გაცვლით პროგამაში მონაწილეობა ძირითადად გავლენას იქონიებს მხოლოდ მის პიროვნულ განვითარებაზე;
0	სტუდენტი ვერ აცნობიერებს ან ვერ ასაბუთებს გაცვლით პროგრამაში/საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მნიშვნელობას და მის შედეგებს;
ქულა	მზაობა (მაქსიმალური ქულა - 2)
2	სტუდენტი საფუძვლიანად იცნობს პროგრამას/სასწავლო კურსებს, რომელიც/რომლებიც სურს, გაიაროს გაცვლითი პროგრამის/საერთაშორისო მობილობის ფარგლებში და გააზრებული აქვს პროგრამით/სასწავლო კურსებით გათვალისწინებული შედეგების მნიშვნელობა; ასევე, გაცნობიერებული აქვს უცხო გარემოში ცხოვრებისა და სწავლის სირთულეები და გამოწვევები;
1	სტუდენტი იცნობს პროგრამას/სასწავლო კურსებს, თუმცა არ აქვს ბოლომდე ჩამოყალიბებული, რომელი კურსების გავლა და რა შედეგების მიაღწევა სურს; ასევე არ აქვს სრულად გაცნობიერებული უცხო გარემოში ცხოვრებისა და სწავლის სირთულეები და გამოწვევები;

0	სტუდენტი არ იცნობს პროგრამას და ვერ აცნობიერებს უცხო გარემოში ცხოვრებისა და სწავლის სირთულეებს.